# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— კვირა, 12 მარტი 1900 წ. № 1069.

გაზეთი ღირს: წლიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



„მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში. | გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც. |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან

წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.
ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.



# სახალხო სეირნობა

## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—7)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილი იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(ნ. 0—26)

ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა აცნობებს თავისს წევრებს, რომ კვირას, ამა წლის 26 მარტისთვის, დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური საზოგადო

## კრება,

დილის 10 საათზედ, ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) 1899 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.

2) 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.

3) ერთის დირექტორის არჩევა.

4) საბჭოს ოთხის დეპუტატის არჩევა იმათ ნაცვლად, რომელთაც ვადა გაუვიდათ.

5) სარევიზიო კომისიის სამის წევრის და მათის კანდიდატების არჩევანები.

საზოგადოების წესდების მე-36 §-ის თანახმად, რწმუნების ქაღალდი საზოგადო კრებაში მონაწილეობის მიღებისა გამგეობას უნდა წარუდგინოს სამის დღით ადრე კრებამდე, ე. ი. არა უგვიანეს 22 მარტისა. (3—6.—1)


# ახალი ამბავი

✦ დღეს, 12 მარტს, სრულდება 70 წელიწადი მას შემდეგ, რაც გენერალ-ადიუტანტი, ინფანტერიის გენერალი, უგანათლ. თავ. გრიგოლ ლევანის ძე დადიანი სამხედრო სამსახურში ოფიცრად ითვლება. ოფიცრის პირველი ჩინი თავ. გრიგოლ დადიანმა მიიღო 1829 წელს, ოსმალეთის წინააღმდეგ ომში. ახალგაზრდა თავადი მსახურებდა თავის მამის, სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის, რაზმში და ჩინი მიიღო მამაცურ ბრძოლისათვის კინტრიშის ციხის აღების დროს. 1847 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ, თავ. გრიგოლი დასახლდა ზუგდიდში თავის ძმასთან დავითთან და ამის შემდეგ ორივე ძმა ერთად განაგებდნენ სამეგრელოს; მაშინ ჯერ ისევ თავისუფალს; მაგრამ დიდხანს არ მოუხდა თავ. გრიგოლს ძმასთან ერთად მოღვაწეობა. სამეგრელოს თავადი უეცრად გარდაიცვალა 1853 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც დაიწყო ომი ოსმალეთთან. რადგანაც სამეგრელო მდებარეობს შავი ზღვის ნაპირას, ის გახდა ომის ასპარეზად. როდესაც ომერ ფაშა შემოესია სამეგრელოს, თავ. გრ. დადიანი შეიქმნა უმთავრეს მოღვაწედ შემოსულ მტერთან ბრძოლის საქმეში და თავი ისახელა სეფიეტთან, სენაკთან და ზუგდიდთან მომხდარ შეტაკებებში. ყირიმის ომის გათავების შემდეგ, ის დანიშნეს კავკასიის გრენადერთა დივიზიის 1-ლ ბრიგადის უფროსად. თავის ჯარით თავად გრიგოლ დადიანმა დიდი მონაწილეობა მიიღო 1858 წელს ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში. შემდეგ წელში მან აიღო ლეკთა რამდენიმე სოფელი, ხოლო 10 აგვისტოდან მონაწილეობას იღებდა შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში და მის დამორჩილებაში. მის შემდეგ თავ. გრიგოლ დადიანი ასრულებს საგანგებო მინდობილებათა გენერლის თანამდებობას კავკასიის მხედართ-მთავრებთან. თ. გრიგოლ დადიანი ამ ჟამად 87 წლის მოხუცია და სცხოვრობს ქ. ქუთაისში.

✦ „პრავიტ. ვესტნიკის“ სიტყვით, 3 მარტს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ საზამთრო სასახლეში, სხვა წარჩინებულ პირებთან ერთად, ივანგოროდის ციხის კომენდანტი გენ. უაზბეგი და მე-9 კავალერიის დივიზიის მეორე ბრიგადის უფროსი გენ. თავ. ჭავჭავაძე.

✦ დღეს დილით, 12 მარტს, სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის შენობაში მოხდება წლიური კრება ტფილისის სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წევრთა.

✦ ტფილისის მაზრის მემამულეთ ამ ჟამად რჩებათ გადაუხდელი ადგილ-მამულზე დაწესებულ გარდასახადისა—20,618 მ. 87 კ. შარშან იყო—29.725 მან. 83 კ., ასე რომ წლის დაწყებიდან დღემდე მემამულეთ გადაუხდიათ „ნედოიმკის“ 9.106 მ. 96 კაპ.

✦ დღემდის სამელიორაციო კრედიტიდან სესხის მიღება გაძნელებული იყო, სხვათა შორის, მით, რომ ყოველი თხოვნა სესხის აღების შესახებ უნდა განეხილა მიწად-მოქმედების სამინისტროს საბჭოს, რომელიც დიდ-რიცხოვანიც არის და იშვიათადაც იკრიბება. ეხლა სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ ყველა თხოვნები სესხის შესახებ გარდაეცემა განსახილველად საგანგებო კომიტეტს, შემდგარს სამის წევრისაგან.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულმა კომისიამ, რომელსაც დაევალა ამიერ-კავკასიაში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ საკითხის განხილვა, დაასრულა თავისი მუშაობა და წარუდგინა მოხსენება ხსენებულ საზოგადოების საბჭოს.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრო ცირკულიარით დაჰკითხებია ტფილისის გუბერნატორს—შემოუმითვალეთ ადგილობრივ ადმინისტრაციის აზრი მათხოვრობის მოსპობის საშუალებათა მიღების შესახებო.

✦ 10 მარტიდან გაიხსნა წესიერი მიმოსვლა სამგზავრო მატა-

რის ზარბაზნების სროლა. ბურების ოთხმა ზარბაზანმა ვერაფერი დააკლო ინგლისელებს და ბოლოს ოთხივე დაჩუმდა. დაჭრილია ერთი ინგლისელი ჯარის-კაცი. დღეს კვლავ ასტყდა ზარბაზნების სროლა, ჯერგაცხარებით, მაგრამ შემდეგ კითან და თან იკლო.

**ეგლუმფონტეინი.** ფრენჩი ცხენოსან ჯარისა და ამხედრებულ ქვეითა ჯარის რაზმებით მოვიდა ტაბანჩუში ბლუმფონტეინისა და ლედი-ბრანტის შუა და გელიოგრაფით დაუწყო ლაპარაკი მასსერუს.

**ვარსენტონი.** ბურებმა თავი დაანებეს კლიმანდამს და ვიდგორტონს; ამასთანავე მოშალეს ბორნები რივერტონსა და ვინძორტოთან. ახლა მდინარე ვაალში გასვლა შეიძლება მხოლოდ ცურვით.

**კამერუნი.** კაპიტანის ვესსერის ექსპედიციაში ჩრდილოეთით, გერმანიის საპროტექტოროში დახოცეს სამი ოფიცერი; ერთი სამხედრო ექიმი მძიმედ არის დაჭრილი.

**სევილია.** ჰერცოგი ორლეანისა დაიჭრა მსუბუქად ფეხში ნადირობის დროს.

**პარიზი.** „ფიგარო“ იტყობინება, რომ ლუბემ აპატივა დანაშაული კრისტიანის. პატივების დეკრეტი კრისტიანისა და 50 სხვა დამნაშავეთა ხელ-მოწერილი იქმნება სამშაბათს.

**კონსტანტინეპოლი.** სომეხთა პატრიარქმა ორმანიანმა გარდასცა ოსმალეთის მთავრობას თხოვნა სამსახურიდან გადადგომისა იმის გამო, რომ მისი პროტესტი სისსაში კათალიკოზის არჩევის შესახებ უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა.

**ბერკშვესტ.** აჯანყებულნი ძალიან ზარობენ იარაღის დაყრას. ჰფიქრობენ, რომ ისინი იარაღს მალავენ. ლანდროსტად ყოფილნი და სხვა მოხელენი, დარაჯებით გარშემორტყმულნი, გაგზავნილ იქმნენ კაპშტადტში.

**მასსერუ.** უკანასკნელ დღეებში ბურები მრავალის დატვირთულის ფურგონებით გაემართნენ სმინფილდიდან და მეისკერიდან ლედი-ბრანდოსაკენ. ეს, უეჭველად, ის ჯარია, რომელიც ნორვალსპონტიდან ბეტულისაკენ მიდიოდა. ეხლა კი მიდის ჩრდილოეთისაკენ.

### 11 მარტი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ნება დართო, რომ პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი ქალაქ ცარიცინის საპატიო მოქალაქედ იწოდებოდეს.

**ლონდონი.** სამხედრო მინისტრის თანაშემწემ უინდგემმა განაცხადა პალატაში, რომ ტყვიას, რომელიც იხმარება სამხრეთ-აფრიკის ომში, აზის მარკა „2“, ტყვია კი, რომელსაც უზის მარკა „5“, ჯარებს ჩამოერთვა და არასოდეს არ ხმარებულა. აგრეთვე იშვიათად ხმარობდნენ ინგლისის ჯარის-კაცები ტყვიას „დუ-დუმ“. დილლონის დაკითხვაზედ, მართალია თუ არა, რომ სამხრეთ აფრიკაში გაიგზავნა ტყვია, რომელსაც უზის მარკა „(4)“ უიტგენმა სთქვა, რომ ეს შეუძლებელი არისო. მარკა „4“—ოფიციალური ცყვიაა, რომელიც უნდა გაგზავნილიყო კაპის ჯარებისათვის; შემდეგ ალარსად გაგვიგზავნია. დილლონის დაკითხვაზედ, მართალი თუ არ, რომ ჯარის კაცთ სამხრეთ-აფრიკაში მრავალი პატრონა უპოვეს მარკისა „4“, უიტგენმა სთქვა, რომ ეს პატრონები უკანვე დავაბრუნეთო. დილლონის შემდეგ კითხვაზე, ჩამოტანილია თუ არა ეს პატრონები ინგლისში, უიტგენმა სთქვა, არ ვიციო.

ოფიციალური გაზეთი იტყობინება, რომ ერთი კვირის განმავლობაში სამს მარტამდე 30 დაჭრილი ოფიცერი დაბრუნდნენ თავიანთ ბანაკებში და შეუდგნენ სამსახურს. იმავე კვირის განმავლობაში სხვა-და-სხვა ავადმყოფობისაგან მომკვდარა: კიმბერლეიში—18, ლედი-სმიტში—15 და კაპის ახალშენის სხვა და სხვა ადგილებში—22 კაცი. ვარენტთან ბრძოლის დროს, 5 მარტს, დაჭრილ იქმნა 4 კაცი. საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა კაპშტადტიდან, რომლითაც იუწყებიან, რომ ფრენჩი ამ ჟამად ებრძვის ბურებს ბლუმფონტეინიდან აღმოსავლეთის მხარეზედ. „რეიტერი სააგ.“ ამბობს, რომ უეჭველია ამ დეპეშაში იგულისხმება ფრენჩის ცხენოსანი ჯარი, რომელიც ტაბაქსუს წავიდა და ბურები, რომელნიც ორანჟეს მდინარედან წავიდნენ ჩრდილოეთისაკენ.

**კრონშტადტი.** ორანჟეს ბურები ბრუნდებიან უკანვე. მთავრობა დიდძალ ჯარს ამზადებს საომრად. ბურგერები არასოდეს არ მოქმედობდნენ ისე მხნედ, როგორც ეხლა. შტეინმა გამოსცა პროკლამაცია, რომელშიაც ურჩევს ბურგერებს სამხედრო სამსახურში შესვლას. აგრეთვე აფრთხილებს ბურებს—არ მისცენ იარაღი ინგლისელებს. ვინც არ შეასრულებს ამ რჩევას, გასამართლებულ იქმნება სამხედრო წესით, როგორც სამშობლოს მოღალატე.

**ლონდონი.** „ტაიმს“ ს ბულუვაიოდან ატყობინებენ 3 მარტს, რომ საშინელის ბრძოლის შემდეგ პოლკოვნიკმა პლუმერმა დაიწია უკან ლობატსიდან და იმყოფება ამ ჟამად კროკოდილსპულსთან.

„ტაიმს“-ს სპინგფონტეინიდან ატყობინებენ, რომ ორანჟეს ბურების დამორჩილებას ფრთხილად უნდა ეკიდებოდნენ, რადგანაც საბუთებია, რომ ისინი არ იქცევიან გულწრფელად, და უმეტესი ნაწილი იმ თოფებისა, რომელიც მათ ინგლისელებს გადასცეს, უვარგისი აღმოჩნდა.

**პეტერბურგის ბირჟა 10 მარტს.**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | $219\frac{1}{2}$ |
| $3\frac{1}{2}$% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . | — „ | — „ | $91\frac{3}{8}$ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | $97\frac{1}{2}$ | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | 99 „ | — „ |
| $4\frac{1}{2}$%ამავე ბანკისა | — „ | — „ | $90\frac{3}{8}$ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 99 „ | — „ | — „ |
| $4\frac{1}{2}$% იმავე საზოგადოებისა , . . . | — „ | — „ | $90\frac{1}{4}$ |
| 5% პირველი შინაგანი სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 300 „ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | $261\frac{1}{2}$ |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

## გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**კვირა**, 12 მარტი; ახალი სტილით 25 მარტი. წლის დასრულებამდ დარჩა 294 დღე. მთვარის მე-25 დღე. დიდი მარხვის მე-21 დღე. ხსენება ღირსისა თეოფანესი და გრიგოლისა.

**ორშაბათი**, 13 მარტს; ახალი სტილით 26 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 293 დღე. მთვარის მე-26 დღე. დიდი მარხვის მე-22 დღე. ხსენება წმ. ნიკიფორესი, მოწ. ალექსანდრესი და ქალწ. ქრისტიანესი.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

**ნ ი ხ რ ი**

ხორცი ძროხისა 1 გ. —10 კ.
სუკი . . . . . 1 » —15 კ.
» ცხვრისა . . » » —11 კ.
» კამეჩისა. . » » — 5 კ.
» ღორისა. . » » — 8 კ.
» ღორის ზარკადი სალორეთი . 1 » —10 კ.
(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

პური ფქვილისა I ხარ. 1 გ. 5 კ.
» » II » » » $3\frac{1}{2}$ »
» » III » » » 3 »
იგივე თონისა I » » » 5 »
» » II » » » 4 »
» » III » » » $3\frac{1}{2}$ »
ლავაში ჯკ. მამ. I » » » 6 »
» » II » » » 4 »

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდანზე: კოკზადზე,
ხორბალი საუკ. ფუთი. მ. კ. მ. კ.,
1 1 30 1 20
ხორ. წითელი. . . 1 1 15 —
ქერი . . . . . . 1 — 88—85
სიმინდი . . . . 1 — 70——
ფქვილი სოფლისა. 1 1 20——
» უფრო მდარე. 1 1 10——
კომბოსტო. . . . 1 — 60——
კარტოფილი. . . . 1 — 60——
ხახვი . . . . . 1 — 50——
თივა . . . . . . 1 — 60——
ბზე . . . . . . 1 — 28——

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.
„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

რებლებისა ბაქო-დარუბანდის რკინის **გზაზე.**

✦ ტფილისის პოლიცმეისტერის თანამდებობის აღმასრულებელი გ. ს. **კოვალიოვი** გუშინდელ დღიდან შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

✦ მომავალს 1901 წელს პეტერბურგში მოწვეულ იქნება რუსეთის **მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საერთო კრება.**

✦ ტფილისის სამოსამართლო პალატის დარბაზში კვირას, 26 მარტს, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია ჩვეულებრივი კრება **მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ** კოლონიისა დ თავშესაფარების კავკასიის **საზოგადოების** წევრთა.

✦ განზრახულია დაარსება ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის ზოგიერთ ადგილებში **საპატიმროების** მომრიგებელ მოსამართლისაგან დასჯილთ პირთათვის. ამგვარი საპატიმროები დაარსებულ იქნებიან: ტფილისში, გორში, სიღნაღში, თელავში, ახალციხეში, ახალქალაქში, დუშეთში, თიონეთში, შულავერში, ბაშკიჩეთში და ზაქათალაში. საჭირო ხარჯი გადაიდება ამიერ კავკასიის საერობო თანხიდან. სულ დასჭირდება შენობის აგებისათვის—26.000 მან., მიწის ყიდვისთვის—6.000 მან., ავეჯისა და სხვა ამგვარისათვის—3500 მან., სულ კი—35.500 მან.; ყოველ წლიურად კი დაიხარჯება 11.508 მან. 69 კაპ.

✦ ტფილისის **ელექტრონით** განათების მსურველთათვის დანიშნული იყო ვადა 10 მარტი, როდესაც თავიანთი პირობები უნდა წარედგინათ დაბეჭდილ კონვერტებში. მხოლოდ ორი კონვერტი იქმნა წარდგენილი. ერთი ამხანაგობის „უნიონისა“ და მეორე ამხანაგობის „ოლშევსკისა და კერენისა“. ორივე საზოგადოებამ შეიტანა გამგეობის კასაში ათას-ათასი თუმანი გირაო.

✦ გუშინ, შუადღისას, ტფილისის პირველ საქალებო გიმნაზიის მესამე სართულიდან შემთხვევით **გადმოვარდა** მეექვსე კლასის მოსწავლე ქალი მიხაილოვისა და იქვე ქუჩაში განუტევა სული.

✦ დღეს, 12 მარტს, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე მწირველი ბრძანდება **ჯვარის მამის ეკკლესიაში,** სადაც იგალობებენ ქართული ეპარქიალური და ბერძნული **ხორონი.** წირვა დაიწყობა $9^1/_2$ საათზე.

✦ ჩვენ შევიტყეთ, რომ 26 მარტს, კვირას, ბ. მონადირაშვილის მგალობელთა გუნდი **სასულიერო კონცერტს** გაჰმართავს მცხეთის საკათალიკოსო ტაძრის განახლებისათვის. შარშანდელი ამ გვარივე კონცერტი ბ. მონადირაშვილისა თავდებია იმისი, რომ წრეულსაც ჩვენი საზოგადოება მრავლად დაესწრობა და, გარდა იმისა, რომ მოისმენენ ახალს საგალობლებს სამოცის ქალვაჟისას, ხელს შეუწყობენ დიდებულის მცხეთის ტაძრის განახლების საქმეს.

✦ ფოთიდან სწერენ „ივერიას“, რომ სამშაბათს, 7 მარტს, ღამის $11^1/_2$ საათზე, ბ. საბახტარიშვილის ქარხნის კანტორას მიუხტა ვიღაც **ავაზაკი,** ოთხჯერ ესროლა რევოლვერი კანტორის კარებს, მერე თვით კარიც შეამტვრია და მძიმედ დასჭრა საბახტარიშვილის ნოქარი ირაკლი სირაძე. ხმაურობაზე გამოცვივდნენ საბახტარაშვილის მოჯამაგირეები, მაგრამ ავაზაკი ხელიდან გაუსხლტათ. ეს ამბავი იმ წამსვე შეატყობინეს ფოთის პოლიცმეისტრის თანაშემწეს ს. ს. კახიძეს, რომელიც იმ წამსვე წავიდა ქარხანაში, გამოჰკითხა ყოველივე გარემოება დაშავებულს, შეიტყო საით გაიქცა ავაზაკი და იმავე ღამეს იპოვნა და შეიპყრო. დაშავებულის მორჩენის იმედი აქვთ ექიმებს. ავაზაკი აღმოჩნდა ოზურგეთის მაზრის მცხოვრები მოსე მასხულია, რომელიც ციხეში დააპატიმრეს. საქმე გადაეცა გამომძიებელს.

✦ სოფ. აბაშაში (ქუთ. გუბ.) მოკლე ხანში გაიხსნება **საეკკლესიო სამრევლო სკოლა.** შენობა სოფლის ხარჯით აიგება სახაზინო მიწაზე.

✦ სოხუმს შეუწირავს სასულიერო უწყებისათვის ადგილი, რომელზედაც უნდა აიგოს შენობა სოხუმში განზრახულ **სასულიერო სასწავლებლისათვის.**

✦ ტფილისის გუბერნატორს მიუწერია ქალაქის გამგეობისათვის, რომ დაწვრილებითი ცნობანი გაუგზავნოს შესახებ ქალაქის ყოველგვარ შენობათა.

✦ ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ნიხრი **ტრამვაისა,** რომელიც წარუდგინა გამგებამ.

✦ სავაჭრო ფირმამ არზუმანოვისამ წარუდგინა ქალაქის გამგეობას დამატებითი განცხადება შესახებ **ფუნიკულიორის** გაკეთებისა. ახალი განცხადებით ჰპირებდა ქალაქს, რომ აბონემენტით გაყიდულ ბილეთებზე 20% დავუკლებ და გარდა ამისა თხუთმეტი წლის შემდეგ ქალაქს ნება ექმნება შეისყიდოს 5%-ს მიმატებით.

✦ სათანადო მთავრობის წინაშე კვლავ აღუძრავთ რამდენიმე პირთ შუამდგომლობა ტფილისში ახალის **აფთიაქების** დაარსების შესახებ, რადგანაც, მთხოვნელთა სიტყვით, 12 აფთიაქი ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას.

✦ თებერვლის განმავლობაში ბაქოდან ამიერ-კავკასიის რკინის გზით გაუზიდავთ სულ 10.708 ვაგონი, ან 8 მილიონ ფუთამდე ნავთი.

✦ პირველ მარტიდან რვამდის ტფილისში სხვა და სხვა გუბერნიებიდან და მაზრებიდან მოურეკიათ სხვილფეხი **საქონელი** გასასყიდად. სახელდობრ: ახალქალაქის მაზრიდან, 26 ხარი, 4 ძროხა, 3 კვებულა და 1 ფურ-კამბეჩი; ბორჩალოს მაზრიდან 54 ხარი, 30 ძროხა, 6 კვებულა, 10 ხარ-კამბეჩი და 3 ფურ-კამბეჩი; გორის მაზრიდან —2 ხარი; დუშეთის მაზრიდან—2 ხარი და 1 ფურკამეჩი; სიღნაღის მაზრიდან—1 ხარ-კამბეჩი და 2 ფურკამბეჩი; თიონეთის მაზრიდან—3 ხარი და 2 ძროხა; ტფილისის მაზრიდან—27 ხარი, 30 ძროხა, 7 კვებულა, 13 ხარ-კამბეჩი და 2 ფურ-კამბეჩი; განჯის გუბერნიიდან—28 ხარი, 1 ძროხა და 1 კამბეჩი; ერევნის გუბერნიიდან—77 ხარი, 1 ძროხა და 1 ხარ-კამბეჩი; ყარსის ოლქიდან 25 ხარი; სტავროპოლის გუბერნიიდან—235 ხარი; ყუბანის ოლქიდან — 38 ხარი; თერგის ოლქიდან – 26 ხარი. სულ ამ ერთი კვირის განმავლობაში მოურეკიათ 543 ხარი, 68 ძროხა 16 კვებულა, 26 კამბეჩი და 9 ფურ-კამბეჩი. ყველა ეს საქონელი იქმნა შესყიდული ყასპებისგან დასაკლავად.

✦ 1 მარტიდან 7-მდის ხარი ადგილობრივი 35—45 მან. ისყიდებოდა; ძროხა 20—30 მ., კვებულა 10—18 მ., ხბო 10—15 მ., ხარ-კამეჩი 45—60 მან.; ფურკამეჩი 25—45 მ., რუსეთის საქონელი, ხარი 60—75 მ.

✦ 9 მარტს ყასაბს სავაჭრო მოედანზე მიუყიდნია ძროხა ავჭალის ქუჩაზე ნაყიდი, რომელიც პუნქტის ვეტერინარმა შ. დედაბრიშვილმა გასინჯა და აღმოჩნდა, რომ ძროხა **ჭირით** იყო **ავადმყოფი.** ეს გარემოება აცნობა დედაბრიშვილმა საგუბერნიო ვეტერინარს, რომელმაც მაშინვე განკარგულება მოახდინა, რომ ავჭალის ქუჩის საქონელი მთლად გადასინჯული იყოს. ეს დაევალათ ვეტერინარებს—შეინ-ფოგელს და ივანოვს.

✦ როგორც გვითხრეს, ტფილისის **არტისტიულ საზოგადოებას ახალი შენობა** გარდაწყვეტილია დაასრულონ ნოემბრამდე. ამისათვის აპირებენ იმუშაონ ღამღამობითაც ელექტრონული განათების შემწეობით. ელექტრონის მავთულები გაყვანილი იქმნება „ტფილისის კრუჟოკის“ შენობიდან.

✦ სომეხთა ვერის სასაფლაოს მზრუნველთ მისცეს თხოვნა გამგეობას—გზა გააკეთებინეთ ვერის სასაფლაოსაკენ მისასვლელად, რადგან საფლავების ნახვის მსურველთ, რომელთაც მიცვალებულნი ჰყავთ დასაფლავებულები, უჭირთ უგზოობისა გამო სიარულიო. ამასთანავე საჭიროა, რომ გამგეობამ ყურადღება მიაპყროს იმას, თუ რა საძაგელ მდგომარეობაშია გზები მართლ-მადიდებელთა სასაფლაოსაკენ მიმავალი როგორც კუკიაში, აგრეთვე პეტრე პავლეს სასაფლაოზე და დიდუბეში. ამ გზათა შეკეთება ვალია ქალაქის გამგეობისა.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**10 მარტი**

**პეტერბურგი.** 10 მარტს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ბრძანდებოდნენ იუსტიციის საიმპერატორო სასწავლებელში.

10 მარტს პეტერბურგს მოვიდა დიდი მთავარი სერგი ალექსანდრესძე.

10 მარტს ხელმწიფა იმპერატრიცამ მარიამ თეოდორეს ასულმა და დიდმა მთავრინამ ქსენია ალექსანდრეს ასულმა დაათვალიერეს ვილლიეს სავადმყოფო.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ჯერ არ არის დანიშნული დღე, როდესაც უნდა წავიდნენ ჯარები მეფეკინგის გასანთავისუფლებლად.

„ტაიმს“-ს სინგაპურიდან ატყობინებენ, რომ ჩინეთის რეფორმატორი კინგ-იუ-ვეი, რომლის შესახებ ხმა დაჰყარეს—ლონდონში გაიქცაო, ამ ჟამად სინგაპურშია პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ. ამ ამბავმა მეტად აალელვა სინგაპურში მცხოვრები ჩინელები.

**კიმბერლეი.** გუშინ ინგლისელთა ბატარეია, დაზვერის დროს, შეხვდა მტრის ჯარს ვარრენტონთან, რის გამოც ასტყდა მათ შო-

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის. უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გეჟუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის—2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

**ტყიბულიდგან** ქუთაისში გადის დღისით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დღისით.

**ომნიბუსების** მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ.ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

**თბილისიდან** ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დილასაღამოს 5 ს. 35 წ.

**ვლადიკავკასიდგან:** ხუთ საჯდომიანი კარეტა გამოდის დილის 8 საათზე (ღამის თევით მლეთში) და ჩამოდის ტფილისში მეორე დღეს საღამოს 6 ს. 40 წ., ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გამოდის საღამოს 8 საათზე და ტფილისში ჩამოდის მეორე დღეს საღამოს 9 ს. 30 წ.

---


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 15 მარტს გამგეობის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით უნდა გაიცეს იჯარით აშენება სახლისა ავჭალის საქალაქო წყლის მილის გამგესათვის და აგრეთვე რემონტი ავჭალის სახლისა 5653 მანათისა. და 16 კაპეიკისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია განიხილოს დაწვრილებით პირობები გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(ნ. 3—2)

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | — » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | « | —50 |
| დაბადება და აღზრდა კრეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | « | —10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | « | —20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | « | —70 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| იგივე III ტომი | « | —60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | « | —80 |
| სოფლის გუნწული დ. მაჩხანელისა | « | —10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | « | —60 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | « | —60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | « | —40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | « | —20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | « | —50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | « | —15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | « | —15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | —20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 1 | —50 |
| რძე მისივე | 1 | —50 |
| სიბრძე ბალავარისა | « | —30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | « | —80 |
| დასტურ-ლამა | « | —10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Марта, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.